საქონლის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება № 016

ქ. ქუთაისი 26 თებერვალი 2016 წელი.

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ, შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებულმა, მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა ტუღუშის სახით, ერთის მხრივ, მოქმედმა სკოლის წესდებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე 3 მუხლის ,,ს[1]'' პუნქტის საფუძველზე საფუძველზე და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს "შარმ ტრეიდინგი", მისი პროკურისტი არჩილ მაჭარაშვილი სახით, შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებულმა, მეორეს მხრივ, მივაღწიეთ ურთიერთშეთანხმებას და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველმა აწარმოა მოლაპარაკება მიმწოდებელთან: დანართი №1 მოცემული საქონლის (CPV კლასიფიკატორის დანაყოფის კოდი:33700000 - პირადი ჰიგიენის საშუალებები; 33761000 - ტუალეტის ქაღალდი;33763000 - ქაღალდის პირსახოცები; 33764000 - ქაღალდის ხელსახოცები) შესყიდვაზე და მიიღო მისგან წინადადება აღნიშნული საქონლის მიწოდებაზე.

2. ხელშეკრულების პირობები

2.1. შემსყიდველი ახორციელებს ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვას მიმწოდებლისაგან გამარტივებული შესყიდვის წესით, საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯზე და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.2. შესყიდული საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტების ნორმებს. შესასყიდი საქონელი უნდა იყოს ახალი (უხმარი), შეფუთული და ნიშანდებული ქარხნული წესით, მწარმოებლის მიერ.

2.3. შესასყიდია შემდეგი საქონელი:

- თანდართული დანართი №1 მიხედვით

2.4. შესასყიდი საქონლის ერთეულის ღირებულებაა:

- თანდართული დანართი №1 მიხედვით

2.5. საქონლის მიწოდება განხორციელდება 20 (ოცი) დღის ვადაში შემსყიდველის ადგილსამყოფელზე (ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13.). მიწოდების ადგილიდან საქონლის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.6. ხელშეკრულების ღირებულებაა – 4487,26 (ოთხიათასოთხასოთხმოცდაშვიდიმთელიოცდაექვსიმეასედი) ლარი, რაც მოიცავს საქონლის ღირებულებას, ტრანსპორტირებას და ყოველგვარ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული საქონლის მიწოდება ამავე ხელშეკრულების 2.5 მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

3.2. საქონლის მიღებამდე შემსყიდველი აწარმოებს მიწოდებული საქონლის ხარისხის შემოწმებას მისი მიწოდების ადგილზე. შემოწმების შედეგებს, თუ შემოწმებისას გამოვლინდა მისაწოდებელი საქონლის ნაკლი ან/და წუნი, შემსყიდველი აფორმებს წერილობითი აქტის სახით, რომელშიც მიეთითება დაწუნებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და წუნდების მიზეზი. აქტი დაუყოვნებლივ გადაეცემა მიმწოდებელს.

3.3. საქონლის შემოწმებას შემსყიდველი ახორციელებს კონტროლის კოორდინატორის მეშვეობით, რომელსაც ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის წარმოადგენს შემსყიდველის ლოჯისტიკის სპეციალისტი დავითი ავალიანი. თუ შემოწმების პროცესში კონტროლის კოორდინატორსა და მიმწოდებელს შორის წარმოიშობა უთანხმოება, საკითხი განიხილება შემსყიდველისა და მიმწოდებლის დირექტორების მიერ, ხოლო საკითხის ამ გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში - ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყოველგვარი წუნის ან/და დანაკლისის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

3.5. შემსყიდველის მიერ საქონლის მიღება დასტურდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს კონტროლის კოორდინატორი.

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის ჩაბარებისთანავე წარუდგინოს შემსყიდველს სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით.

3.7. შემსყიდველი ვალდებულია, გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება სასაქონლო ზედნადების მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

3.8. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებით, საბანკო გადარიცხვით (უნაღდო ანგარიშსწორებით).

4. დასკვნითი დებულებები

4.1. ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

4.3. საქონლის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში შემსყიდველი გადასახდელი თანხიდან უკავებს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით მიწოდების ვადაგადაცილების ყოველ დღეზე.

4.4. მიღებული საქონლის ღირებულების გადახდის ამ ხელშეკრულების 3.7 მუხლით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს პირგასამტეხლოს დროულად გადაუხდელი თანხის 0,2 %-ის ოდენობით გადახდის დაგვიანების ყოველ დღეზე.

4.5. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას ამ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადოდ შესრულებაზე, გარდა ფორს-მაჟორული სიტუაციებით გამოწვეული შემთხვევებისა. სიტუაციის ფორს-მაჟორულობა

ფასდება მხარეთა მიერ ერთობლივად, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლოს მიერ.

4.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ პირად, რომელთაგან ერთი ინახება მიმწოდებელთან და მეორე - შემსყიდველთან. ხელშეკრულების ორივე პირი თანაბარი იურიდიული ძალისაა.

4.7. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2016 წლის 30 აპრილისა.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 212852055

ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ. 431 23 26 00.

მიმღები:ხაზინის ერთიანი ანგარიში, ქ.თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა“;ბანკის კოდი: TERESEGE22
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

ვიზა ტულუშიძე

„მიმწოდებელი“

შპს "შარმ ტრეიდინგი"

ს/კ: 211397004

იურიდ. მის: ქ.თბილსი , ქსნის #36

ფაქტი. მის: ქ.ქუთაისი, 9 აპრილის I შეს #10

ანგ. ნომ: საქართველოს ბანკი

BAGAGE22

GE77BG0000000871218601

პროკურისტი:

არჩილ მაჭარაშვილი

დანართი №1

№	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ
1	ტუალეტის ქაღალდი ,,სელპაკ'' 3 ფენიანი	ცალი	2496	0.81	2021.76
2	დისპენსერის პირსახოცი 2 ფენა მარათონ (200ცალიანი)	ცალი	720	3.15	2268.00
3	სელპაკ ხელსახოცი 2 ფენა (100ცალიანი)	ცალი	50	3.95	197.50
	სულ ჯამი ლარი.				4487.26

„შემსყიდველი“
სსიპ
,,ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა''
გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 212852055
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ. 431 23 26 00.
მიმღები:ხაზინის ერთიანი ანგარიში, ქ.თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა";ბანკის
კოდი: TRESGE22
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

-------------------- ნინო ჩოლოყაშვილი

„მიმწოდებელი“
შპს "შარმ ტრეიდინგი"
ს/კ: 211397004

იურიდ. მის: ქ.თბილისი , ქსნის #36
ფაქტ. მის: ქ.ქუთაისი, 9 აპრილის I შეს #10
ანგ. ნომ: საქართველოს ბანკი
GE77BG0000000871218601

პროკურისტი:

-------------------- არჩილ მაჭარაშვილი